

ხელშეკრულება №

„სააბონენტო მომსახურების შესახებ“

ქ. თბილისი

„ “ 20..... წ.

1. ხელშეკრულების მხარეები. ტერმინთა განმარტება

1.1. აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები არიან :

ერთი მხრივ, შპს „7 არხი“, მისი გენერალური დირექტორის დავით წერეთლის სახით, შემდგომში „კომპანია“ და მეორე მხრივ, მოქალაქე

.....
.....
..... შემდგომში „აბონენტი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილებით, შევთანხმდით შემდეგზე:

1.2. აღნიშნულ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

- ა) „აბონენტი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც დამკვეთი, უფლებამოსილია მიიღოს „მომსახურება“;
- ბ) „აბონენტის მოწმობა“ – ხელშეკრულების დადებისა და „კომპანიის“ მიერ „მომსახურების“ გაწევის დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც ასახულია „აბონენტის“ შესახებ მონაცემები, „აბონენტისათვის“ მინიჭებული საანგარიშსწორებო კოდი, საიდენტიფიკაციო ბარათის ნომერი, „მიმღების (რესივერის)“ სერიული ნომერი, რაოდენობა და სატელევიზიო „მომსახურების“ სახეობა;
- გ) „ვებ-გვერდი“ – წარმოადგენს ვებ-გვერდების ერთობლიობას, რომელიც შეიცავს ფასიან და უფასო პროგრამებს, ვიდეოებსა და ინფორმაციას;
- დ) „კინო დარბაზი“ – წარმოადგენს ვიდეოთეკას, სადაც აბონენტს საშუალება აქვს დროის მიხედვით (დღე, წუთი, საათი), აირჩიოს ნებისმიერი ვიდეო გარკვეულ საზღაურად;
- ე) „კომპანია“ – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „7 არხი“, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც შემსრულებელი, „აბონენტს“ აწვდის „მომსახურებისათვის“ საჭირო ციფრულ სიგნალს;
- ვ) „მომსახურება“ – „კომპანიის“ საქმიანობა, რომელიც შეიცავს ქსელთან მიერთების ორგანიზებას, გააბონენტებას და უზრუნველყოფს მის კუთვნილ დაფარვის ზონაში შესაბამისი ციფრული სიგნალის ინდივიდუალური მიღების შესაძლებლობას;
- ზ) „მოწყობილობა“ – „მიმღები (რესივერი)“, „საიდენტიფიკაციო ბარათი“, პულტი, თავაკი, მიმღები ანტენა, სატელევიზიო კაბელი და სხვა, რომლის მეშვეობითაც „კომპანია“ ახორციელებს „აბონენტის“ „მომსახურებას“;
- თ) „მოწყობილობით დროებით სარგებლობა“ – „აბონენტს“ გააბონენტებისას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით დროებით სარგებლობაში გადაეცემა „მოწყობილობა“, რომელიც წარმოადგენს „კომპანიის“ საკუთრებას;
- ი) „პრეისკურანტი“ – სარეკლამო ცნობარი, რომელშიც განსაზღვრულია პაკეტირების სახეები და რაოდენობა, მასში არსებული არხები და მათი ღირებულება;
- კ) „სააბონენტო გადასახადი“ – „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურების“ საფასური, რომელიც ითვლება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მიხედვით. აგრეთვე სხვადასხვა პაკეტირების ფასი, რომელიც განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ და „აბონენტს“ მიეწოდება „პრეისკურანტის“ სახით;
- ლ) „სადეპოზიტო გადასახადი“ – „აბონენტის“ მიერ „კომპანიისათვის“ წინასწარ გადახდილი თანხა. არსებობს რამდენიმე სადეპოზიტო გადასახადი: 1) „ციფრული პაკეტის“ ფიქსირებული გადასახადი, (მინიმალური

გადასახადი არის პაკეტის ღირებულების გადასახადი, ხოლო მაქსიმალური გადასახადი არ არის შეზღუდული); 2) „კინო დარბაზის“ არაფიქსირებული გადასახადი; 3) მომსახურეობის გადასახადი;

- მ) **„საინტენტიფიკაციო (ID) ბარათი“** – ქსელთან მიერთების ელექტრონული ბარათი (ციფრული სიგნალის ინდივიდუალური მიმღები დანადგარის განუყოფელი ტექნიკური ელემენტი), რომელიც შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს აქტივაციის შემდეგ მიუერთდეს ქსელს და მიიღოს ციფრული სიგნალი, იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის საფასურიც მას წინასწარ აქვს გადახდილი დეპოზიტის სახით;
- ნ) **„ქსელში ჩართვა-გააბონენტება“** – „აბონენტის“ ქსელთან მიერთების ტექნიკური საშუალება, რომელიც ახდენს მის ავტორიზებას და აძლევს „მომსახურეობის“ მიღების შესაძლებლობას;
- ო) **„ციფრული პაკეტი“** – წარმოადგენს დახურული ტელე-რადიო პროგრამების ერთობლიობას, რომლის „აბონენტისათვის“ მიწოდება ხორციელდება აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე;
- პ) **„ციფრული სიგნალის ერთობლიობა“** – წარმოადგენს სატელევიზიო არხებისაგან შემდგარ პაკეტს, „კინო დარბაზს“, „ვებ-გვერდს“ და სხვა „მომსახურეობებს“;
- ჟ) **„მოკლე ტექსტური შეტყობინება“** – წარმოადგენს ტექსტური შეტყობინების წერილს, რომელიც მომხმარებელს მიეწოდება მიმღების საშუალებით და გამოისახება როგორც ეკრანზე მთლიანად, ასევე მორბენალი სტრიქონის სახით. აღნიშნული წერილი მიეწოდება უკლებლივ ყველა მომხმარებელს („რესივერს“) და წარმოადგენს კომპანიის შეტყობინების წყაროს. ყოველი მიღებული წერილი ინახება მენიუში და მისი ნახვა შესაძლებელია მართვის პულტზე „mail“ ღილაკზე თითის დაჭერით.
- რ) **„მიღება-ჩაბარების აქტი“** –
- ს) **„საცხოვრებელი ბინისა თუ სახლის კონტური (დემარკაციის წერტილი)“** – გადახდის სერვისით

2. ხელშეკრულების საბანო

- 2.1. „კომპანია“ „აბონენტს“ გაუწევს ციფრული სიგნალით „მომსახურეობას“ ქსელის დაფარვის ზონაში.
- 2.2. ციფრული სიგნალი „აბონენტს“ მიეწოდება მხარეებს შორის წინასწარ განსაზღვრულ მისამართზე.
- 2.3. აღნიშნული ხელშეკრულების დადებისას „კომპანია“ „აბონენტს“ ანიჭებს ინდივიდუალურ საინტენტიფიკაციო ნომერს.
- 2.4. „კომპანია“ „აბონენტს“ ნასყიდობის წესით (პირდაპირი მიყიდვის წესით) ან დროებით სარგებლობაში გადასცემს „მოწყობილობას“ იმ წესითა და პირობით, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული ხელშეკრულებით.
- 2.5. „მოწყობილობის“ ნასყიდობის წესით (პირდაპირი მიყიდვის წესით) გადაცემის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება „სააბონენტო ხელშეკრულებასთან“ თანდართული მიღება-ჩაბარების აქტი.
- 2.6. „მოწყობილობის“ დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება „სააბონენტო ხელშეკრულებასთან“ თანდართული მიღება-ჩაბარების აქტი.
- 2.7. აბონენტის ქსელში ჩართვა გააბონენტებისას ფორმდება, გარდა ამ ხელშეკრულებისა, ასევე მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც აისახება გადაცემული მოწყობილობების ჩამონათვალი, გაწეული სამუშაოები და ჯამური ღირებულება, რომელსაც აბონენტი იხდის ან ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროს ან ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში.
- 2.8. ხელშეკრულებასთან თანდართული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 2.9. ხელშეკრულების პირობების გარკვეული მუხლები შეიძლება კომპანიამ შეცვალოს ან დაამატოს ცალმხრივად წინასწარი შეტყობინების შემდეგ, რომელიც მომხმარებელს მიეწოდება 10 (ათი) დღით ადრე ტელევიზორის ეკრანზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ვებ-გვერდზე განთავსების სახით ან ოფისში განმარტებით.

3. „აბონენტის“ უფლება-მოვალეობანი

3.1. „აბონენტი“ უფლებამოსილია:

- 3.1.1. აირჩიოს მიმღები „მოწყობილობის“ რაოდენობა, „ციფრული პაკეტი“, „კინო დარბაზი“, „ვებ-გვერდი“ და სხვა სახის „მომსახურეობა“.

- 3.1.2. დეპოზიტის სახით გადაიხადოს სააბონენტო გადასახადის ნებისმიერი თანხა, რომელიც აღემატება მის მიერ არჩეული „პაკეტირების“ ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება აბონენტის პირველადი ჩართვა ციფრულ ქსელში. სააბონენტო გადასახადი იანგარიშება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მიხედვით.
- 3.1.3. ისარგებლოს მიმღები „მოწყობილობის“ საგარანტიო „მომსახურებით“ ხელშეკრულების დადების დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში (საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება მართვის პულტზე; „მოწყობილობაზე“ მისი მექანიკური ან ელექტრონული ზეგავლენით დაზიანების შემთხვევაში; მიმღები სისტემის შემდგომი რეგულირებისა ან/და დამატებითი „მომსახურების“ შემთხვევაში). „აბონენტს“ გადაეცემა ხელშეკრულებასთან თანდართული საგარანტიო ბარათი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 3.1.4. შეხედულებისამებრ, შეცვალოს მის მიერ არჩეული „პაკეტირება“.
- 3.1.5. მომსახურების გაგრძელების სურვილის არქონის შემთხვევაში, მის მიერ გადახდილი მომსახურების თანხის ამოწურვამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს „კომპანიას“ აღნიშნულის შესახებ და ამ პერიოდის დასრულებისთანავე, ვალდებულია „კომპანიას“ დაუბრუნოს დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა(ები) და ჯეროვნად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისთვის „7 არხის“ წინაშე წარმოშობილი მიღება-ჩაბარების აქტი(ებით) განსაზღვრული ნებისმიერი გადასახდელი.
- 3.1.6. დაიმატოს დამატებითი წერტილი. აღნიშნულ შემთხვევაში მეორე, მესამე და ა.შ. „მოწყობილობის“ გადაცემა ხდება:
- ა) პირდაპირი წესით მიყიდვით;
 - ბ) დროებით სარგებლობაში.
- 3.1.7. 3.1.6. პუნქტში მითითებულ ა) თუ ძირითადი „მოწყობილობა“ ნაყიდა ამ შემთხვევაში ფიზიკური პირი უფლებამოსილია გადაიხადოს ფიქსირებული 5 (ხუთი) ლარი. ყოველ დამატებით წერტილზე. ბ) შემთხვევაში გადასახადი შეადგენს 9 (ცხრა) ლარს ყოველ დამატებით წერტილზე გ) კომპანია უფლებას იტოვებს წინასწარი გაფრთხილების შემდეგ (მოკლე ტესტური შეტყობინებისა და ვებ-გვერდის საშუალებით) შეცვალოს ა) და ბ) პუნქტების ღირებულების დაანგარიშება.

3.2. „აბონენტი“ იღებს ვალდებულებას:

- 3.2.1. 5.1. პუნქტის შესაბამისად გადაიხადოს „სააბონენტო გადასახადი“ დეპოზიტის სახით ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
- 3.2.2. „მოწყობილობა“, რომელიც „აბონენტს“ გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში არ გაასხვისოს, არ გააჩუქოს, არ გააქირავოს, არ დააგირავოს, უფლებრივად სხვაგვარად არ დატვირთოს და დაიცვას მისი ექსპლუატაციის წესები.
- 3.2.3. ანაზღაუროს ზიანი, რომელიც საკუთარი ბრალით ან/და უხეში გაუფრთხილებლობით მიადგა „მოწყობილობას“ ან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ მიმღების დაბრუნების შემთხვევაში შეასრულოს 7.1.1. და 7.4. მუხლები.
- 3.2.4. აღნიშნული ხელშეკრულების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში 7.1.1. და 7.4. მუხლების მიხედვით „მოწყობილობა“ („მიმღები (რესივერი)“ და „საიდენტიფიკაციო ბარათი“), რომელიც „აბონენტს“ გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში, დაუბრუნოს უნაკლოდ „კომპანიას“ და ჯეროვნად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისათვის „7 არხის“ წინაშე წარმოშობილი მიღება-ჩაბარების აქტი(ებით) განსაზღვრული ნებისმიერი გადასახდელი.
- 3.2.5. „კომპანიის“ თანხმობის გარეშე არ დაუშვას „ციფრული სიგნალის“ მესამე პირისათვის მიწოდება, მისი ხელახალი რეტრანსლირება, ჩაწერა, გადაწერა, საჯარო ჩვენება, ასლის გადაღება მათი კომერციული მიზნებისათვის გამოყენება. ამდაგვარი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ აუნაზღაუროს მისი პროდუქტებით სარგებლობით მიყენებული ზიანი და გადაიხადოს

ჯარიმა, რომელსაც ადგენს „კომპანია“ და რომლის მინიმალური ოდენობაა 100 (ასი) ლარი, ხოლო მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ხუთიათასი) ლარს.

- 3.2.6. დროულად შეატყობინოს „კომპანიას“ ქსელში წარმოშობილი ხარვეზების შესახებ და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ტექნიკურ პერსონალს, ხარვეზის დროულად აღმოსაფხვრელად.
- 3.2.7. საცხოვრებელი ბინის მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, „აბონენტი“ ვალდებულია წინასწარ 10 (ათი) დღით ადრე წერილობით აცნობოს „კომპანიას“ ამის შესახებ. ამასთან, „მოწყობილობა“ („მიმღები (რესივერი)“ და „საიდენტიფიკაციო ბარათი“), რომელიც „აბონენტს“ გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში, დაუბრუნოს „კომპანიას“ ან/და 5 (ხუთი) დღით ადრე წარადგინოს „კომპანიაში“ მისი უფლებამონაცვლე (მესამე პირი) „კომპანიასთან“ ხელშეკრულების გადაფორმების მიზნით. ამ პირობათა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.
- 3.2.8. „აბონენტი“ პასუხისმგებელია არასრულწლოვანის მიერ ციფრული სიგნალის მოხმარების პროცესში, მის ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი (აკრძალული) არხების კონტროლზე. ასევე ვალდებულია ანაზღაუროს მიყენებული ზიანი თუკი აბონენტის მიერ ამ მუხლის იგნორირებამ ნეგატიური გავლენა მოახდინა „კომპანიის“ საქმიან იმიჯზე.
- 3.2.9. „აბონენტი“ ვალდებულია აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურეობის“ მოთხოვნის დროს წარმოადგინოს „აბონენტის მოწმობა“, წინააღმდეგ შემთხვევაში „კომპანია“ არ არის ვალდებული გაუწიოს მას შესაბამისი მომსახურება.
- 3.2.10. „აბონენტის“ მიერ „კომპანიის“ საქმიანი იმიჯის, სახელისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში „აბონენტი“ პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და მას დაეკისრება კომპანიისათვის მიყენებული მორალური და თუკი ასეთი გამოიწვია (ამ ფაქტებიდან გამომდინარე მესამე პირების მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარი, დადებული ხელშეკრულების მოშლა, სხვა ტელემაუწყებლობაში „კომპანიის“ „აბონენტთა“ გადაბირება და ა. შ.) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

4. „კომპანიის“ უფლება-მოვალეობანი

4.1. „კომპანია“ უფლებამოსილია:

- 4.1.1. შეწყვიტოს ცალკეული სატელევიზიო პროგრამების (პაკეტის) ან სიგნალის რეტრანსლირება თუ შეიზღუდება ამ არხის (პროგრამების) მაუწყებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ცალკეულ ნაწილში, ან თუ ტელეარხი დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს „კომპანიასთან“.
- 4.1.2. წინასწარი გაფრთხილების შემდეგ შეცვალოს მომსახურეობის, ანგარიშსწორების პირობები და ტარიფები. შეტყობინება აღნიშნული ცვლილებების შესახებ გაკეთებული უნდა იქნას „კომპანიის“ სატელევიზიო ქსელში ცვლილებამდე სულ მცირე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, ამასთან ეს ცვლილებები არ შეეხება შესაბამისი განაცხადის გაკეთების მომენტისათვის გადახდილ „სააბონენტო გადასახადს“.
- 4.1.3. „აბონენტს“ დეპოზიტის ამოწურვამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მისდის გაფრთხილება დეპოზიტის ამოწურვის შესახებ.
- 4.1.4. 4.1.3. პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, დეპოზიტის გაუნახლებლობის შემთხვევაში „აბონენტს“ უწყდება აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული „მომსახურეობა“.
- 4.1.5. „მომსახურეობის“ შეწყვეტიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში, დეპოზიტის გაუნახლებლობის შემთხვევაში, „კომპანია“ ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას და 7.1.1, 7.4. მუხლების მიხედვით იბრუნებს კუთვნილ „მოწყობილობას“, რომელიც გადაცემული იყო დროებით სარგებლობაში. აღნიშნული არ ეხება 7.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას.
- 4.1.6. 4.1.5. პუნქტში მითითებულ შემთხვევაში თუ „აბონენტს“ „მოწყობილობის“ შემენის საფასური გადახდილი აქვს, მაშინ მოწყობილობა რჩება „აბონენტთან“ და „კომპანია“ მას შეუწყვეტს „მომსახურეობას“.
- 4.1.7. „მომსახურეობის“ აღდგენის სურვილის შემთხვევაში ყოფილმა „აბონენტმა“ უნდა გადაიხადოს „ხელახალი აქტივირების“ „კომპანიის“ მიერ დაწესებული საფასური.

4.2. „კომპანია“ იღებს ვალდებულებას:

- 4.2.1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში „აბონენტი“ უზრუნველყოფს „მომსახურების“ შესაბამისი ხარისხით და სტანდარტების დაცვით.
- 4.2.2. განახორციელოს დაფარვის ზონაში აბონენტისათვის შესაბამისი „მოწყობილობის“ მონტაჟი დადგენილი ტარიფებით და უზრუნველყოფს „აბონენტი“ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში „სრული პაკეტის“ ჩვენებით, რათა „აბონენტმა“ შეძლოს სასურველი „ციფრული პაკეტის“, „კინო დარბაზის“, „ვებ-გვერდის“ და სხვა სახეობის „მომსახურების“ შერჩევა.
- 4.2.3. „აბონენტის“ შეტყობინების საფუძველზე გონივრულ ვადაში აღმოფხვრას „მოწყობილობის“ ტექნიკური გაუმართაობა და სხვა მიზეზები, რაც აფერხებს „მომსახურების“ მიწოდებას.
- 4.2.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღეს „კომპანია“ უზრუნველყოფს „აბონენტისთვის“ საჭირო „მოწყობილობის“ მონტაჟს და ქსელში ჩართვას „აბონენტის“ მიერ მითითებულ მისამართზე.
- 4.2.5. 4.2.4 პუნქტში მითითებული პროცედურების შესრულებისას ივსება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც გაწერილია ტარიფები და ჩატარებული სამუშაოების ღირებულება.

5. ანგარიშსწორება მხარეთა შორის:

- 5.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ნაღდი ან/და უნაღდო ანგარიშსწორების წესით „კომპანიის“ მიერ განსაზღვრულ ბანკებში, მათ ფილიალებში, საგადასახადო და „კომპანიის“ სერვისცენტრებში, რომელთა ჩამონათვალი „აბონენტს“ მიეწოდება ცნობარის სახით.
- 5.2. „სააბონენტო გადასახადს“ „აბონენტი“ იხდის დეპოზიტის სახით 3.1.2. პუნქტის შესაბამისად.
- 5.3. „აბონენტის“ მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული გადასახდელი თანხის გადახდის შემდგომ, „კომპანია“ ვალდებულებას იღებს გადახდილი თანხის ანგარიშზე ასახვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა „აბონენტს“ აღუდგინოს „მომსახურების“ მიწოდება.
- 5.4. „სააბონენტო გადასახადის“ გადახდის შემდგომ, გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- 5.5. სადავო შემთხვევაში გადახდის დამადასტურებელი საბუთის არ/ვერ წარმოდგენის შემთხვევაში „სააბონენტო გადასახადი“ გადახდილად არ ჩაითვლება;
- 5.6. „ციფრული პაკეტის“ „სააბონენტო გადასახადის“ განსაზღვრა ხდება ყოველდღიური ღირებულების მიხედვით. (გამოცხადებული ტარიფი გაყოფილი 30 კალენდარულ დღეზე).
- 5.7. „ციფრული პაკეტის“ „სააბონენტო გადასახადის“ გარდა, ბანკებმა ან გადახდის აპარატებმა შეიძლება მოითხოვონ მოსახურების საფასური, რომელიც კომპანიის „სააბონენტო გადასახადში“ არ შედის და შესაბამისად არც კომპანია აღნიშნულ გადასახადს არ ითვალისწინებს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა:

- 6.1. ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე თავისი უფლებები ან/და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებები ან/და ვალდებულებები გადადის ერთ-ერთი მხარის კანონიერ მემკვიდრეზე ან ერთ-ერთი მხარის სამართალმემკვიდრე პირზე.
- 6.3. „კომპანია“ პასუხს არ აგებს „ციფრული პაკეტის“ შემადგენლობაში შემავალი სატელევიზიო არხების, ცალკეული სატელევიზიო გადაცემებისა და აუდიოვიზუალური ნაწარმოებების შინაარსის მართლზომიერებაზე, ასევე ტელეარხის ხარისხზე.
- 6.4. „კომპანია“ პასუხს არ აგებს აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ეს დაკავშირებულია

სახელმწიფო ორგანოების ქმედებებთან ან/და ფორსმაჟორულ გარემოებებთან, ასევე, ელექტრო ენერჯის შეწყვეტისას, ძლიერი თოვლით/სეტყვით/ელვით/მეხით და სხვა მიზეზებით გამოწვეულ შესაძლო შედეგებზე.

6.5. 6.4. პუნქტში მითითებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „კომპანიის“ ვალდებულებები წყდება მხოლოდ დროებით და ახლდება ამ მდგომარეობათა დამთავრების შემდგომ.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან 3 (სამი) წლის ვადით.

7.1.1. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია ჯეროვნად დაფაროს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის დღისთვის „7 არხის“ წინაშე წარმოშობილი მიღება-ჩაბარების აქტი(ებით) განსაზღვრული ნებისმიერი გადასახდელი.

7.2. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა და მხარეები არ მოითხოვენ აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტას, მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა ითვლება გაგრძელებულად იმავე ვადითა და პირობებით.

7.3 ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია:

- ა) მხარეთა შეთანხმებით;
- ბ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით.

7.4. ნებისმიერი მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას ვალდებულია 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე წერილობით (მესიჯით, ელ. წერილით) აცნობოს მეორე მხარეს. აღნიშნული ვადის განმავლობაში, თუ ინიციატორი არის „აბონენტი“, მაშინ იგი აბრუნებს „მოწყობილობას“, რომელიც გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ, თუ იგი არის გამართულ მდგომარეობაში და უნაკლო.

7.5. წერილობით მოთხოვნილი „ციფრული პაკეტის“ მიწოდების შეჩერების 60 (სამოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადის გასვლის შემთხვევაში „აბონენტს“ უწყდება აღნიშნული ხელშეკრულება.

8. დამატებითი დებულებანი

8.1. აღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანა, გარდა 4.1.2. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. რომელიმე მხარის ნების გარეშე შეტანილი ცვლილება, ბათილია შეტანის მომენტიდან.

8.2. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, აღნიშნული დავა წყდება მხარეთა შორის შეთანხმებით.

8.3. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4. აღნიშნული ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა, არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას, თუ ეს არ ხელყოფს აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსსა და მიზანს.

8.5. ურთიერთობები, რომელიც არ არის მოწესრიგებული აღნიშნული ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.6. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება „აბონენტთან“, ხოლო მეორე ეგზემპლარს იტოვებს „კომპანია“.

დამატებითი პირობა

„აბონენტი“ ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულებაზე და დანართზე იგი ხელს აწერს ნებაყოფლობით და გააზრებული აქვს, როგორც სააბონენტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პირობები და მიღება-ჩაბარების აქტში ასახული ნივთობრივი და ფულადი ვალდებულება თუ პირობა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

კომპანია

შპს „7 არხი“

მისამართი: 0194 ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №16, II სადარბაზო, ბინა №27

ტელეფონი: + 995 (32) 2 407 704; ელ-ფოსტა: 7channel@gmail.com

სს „თი-ბი-სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა № GE20TB7 88903 60801000 01
ს/კ : 205057338

გენერალური დირექტორი

დავით წერეთელი: „ “ 20... წ.

აბონენტი

გვარი, სახელი
.....

ორგანიზაცია/კომპანია დასახელება:
.....

საბანკო რეკვიზიტები:
.....

საიდენტიფიკაციო კოდი:
.....

მისამართი:
.....
.....

პირადობის მოწმობის №
.....

ტელეფონი:
.....

ფაქსი:
.....

მობილური:
.....

ელ-ფოსტა:
.....

მიმღების (რესივერის) №
.....

ელექტრონული ბარათის №
.....

აბონენტი: „ “ 20... წ.